წელიწადი მეცამეტე

ბროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) სენტრ. და თბ. კომიტეტების და საქ. საკის ორგანო

ტელეფონები ჯამი: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—38—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კონტორის—8—81

ოთხშაბათი, 17 მაისი 1933 წ. № 112 (3668)

სესხზე ხელის მოწერა თბილისმა უახლოეს დღეებში უნდა დაამთავროს

სოციალისტური შეჯიბრება სესხის გავრცელების უკეთ გაშუქებაზე

თბილისი, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

„კომუნისტი“ (თურქული) გიწყევს თქვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში „მეორე ხუთწლედის სესხის“ რეალიზაციის გეგმის შესრულებისათვის. შეჯიბრების პირობები: კამპანიის მიმდინარეობის უკეთესად გაშუქება გაზეთის ფურცლებზე, ბრძოლა საკონტროლო დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაწესებულ ვადაში. წინადადებას ვიძლევით ყოველდღიურად მივაწოდოთ ერთმანეთს და ვებეჭდოთ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ცნობები შეჯიბრების მოწინავე რესპუბლიკებში კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. რედაქცია სთხოვს „ზარია ვოსტოკა“-ს იკისროს პრბიტრობა.

გაზ. „კომუნისტი“-ს (თურქული) რედაქტორი—მ. ჰუსეინოვი.

თბილისი, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

გაქოში ხელის მოწერა პირველ დღიდანვე უდიდესი ენთუზიაზმით მიმდინარეობს სათბოში მრეწველობის სამი გიგანტის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების დედა ქალაქთა შეჯიბრების ლოზუნგით. მთელმა რიგმა საწარმოებმა — სტურუას სახელობის კრეკინგ ქარხანამ, ელექტროსადგურმა, „კრასნაია ზვეზდა“-ზე მარქის სახ. ქარხანამ და სხვ. დღეს დაამთავრეს ხელის მოწერა. გიწყევთ შეჯიბრებაში კამპანიის უკეთესად გაშუქებისა და სესხის სასწრაფოდ რეალიზაციისათვის. გვი დეკეშეთ ცნობები ხელის მოწერის დღის შესახებ.

„ბაკინსკი რაბოჩი“-ს რედაქცია.

ჩვენი პასუხი

ბაქო, „კომუნისტი“-ს და „ბაკინსკი რაბოჩი“-ს რედაქციებს

ვღებულობთ თქვენს გამოწვევას მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხის უკეთ გავრცელებისათვის ვკისრულობთ ყოველდღიურად მოგაწოდოთ ცნობები ხელის მოწერის მიმდინარეობის შესახებ და მოვთავსოთ გაზეთში თქვენგან მიღებული ცნობები.

ხელის მოწერა თბილისში ბოლშევიკური ტემპით გაიშალა; მოცემულ 16.844 ათასი მანეთის ნაცვლად თბილისმა წამოაყენა შემხვედრი საკონტროლო ციფრი 17.244 ათასი მანეთი.

16 მაისის საღამოს 6 საათისათვის ხელი მოაწერა 16.783 კაცმა, 2.511.000 მანეთზე, შესრულებულია შემხვედრი გეგმის 14,5 პროც.

ხელის მოწერა დაამთავრეს „26“ კომუნარის ქარხანამ და მკერავმა № 2.

სარემონტო ქარხნის ძირეული პრესა მოწინავე რიგებში

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ძირეული პრესა მომზადებული შეხვდა მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხის გამოშვებას.

15 მაისს, დილით, საუზმის დროს, გაზეთ „ჩვენი“ საყვირი“-ს ხელმძღვანელმა ბით ქარხნის ყველა საამქროებში ჩატარდა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების და მუშკორთა კრებები, რომლებზეც დამუშავებულ იქნა ახალი სესხის რეალიზაციის საკითხი. ამავე კრებებზე ჩატარდა სესხზე ხელის მოწერა. ეს შეკრებებმა და სარედაქციო კოლეგიების წევრებმა სესხზე მოაწერეს ხელი თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

ამწყობ საამქროს მუშკორებმა — ამხ. ნიკოლაევმა და სულხანიშვილმა ხელი მოაწერეს თითომ თვენახევრის ხელფასზე.

მუშკორებმა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებმა სესხზე ხელის მოწერის კამპანიის უკეთ გაშუქების და მომსახურეობის მიზნით, ამავე კრებაზე სოციშეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი.

ამწყობ საამქროს კედლის გაზეთმა „წითელ ამწყობელმა“ და „მოლოდნი საბოჩარჩიკმა“ გამოიწვიეს საქვაბე საამქროს კედლის გაზეთი „წითელი მეჭვაბე“, „ჩვენმა ღუმელმა“ გამოიწვია „წითელი მჭედელი“ და „ახალ. მჭედელი“; სამგზავრო-სავაგონო საამქროს კედლის გაზეთმა „დამკვრელის ხმამ“ —საბარგო სავაგონო და სადურგლო საამქროების კედლის გაზეთები „მზვერავი“, „ახალგაზრდა ენთუზიასტი“ და „წითელი დურგალი“. ყველა ზემოხსენებულმა გაზეთებმა სოციშეჯიბრებაში გამოიწვიეს „ბოჩკარლის ხმა“ და „წითელი ტენდერი“.

ქარხნის მთელ რიგ საამქროებში 15 და 16 მაისს უკვე გამოიცა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები მეორე ხუთწლედის სესხის რეალიზაციის გარშემო.

გაზეთ „ჩვენი საყვირის“ კოლექტივმა 15 მაისს დაამთავრა სესხზე ხელის მოწერა. ხელი მოაწერეს ერთი თვის ხელფასზე და სესხის რეალიზაციის უკეთ მომსახურების მიზნით, სოციშეჯიბრებაში გამოიწვიეს „ელექტროსვიაციის“, „ბიუგელის“ და „წითელი დეპოელი“-ს რედაქციები.

სესხზე ხელის მოწერა სარემონტო ქარხანაში დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს. 15 მაისს სესხზე ხელის მოწერა დაიწყო სამ ცვლაში.

დ. ჯღარკავა.

დასაყრდენი მაჩვენებელი პუნქტები

სახკრედიტის და საშემნახვლო საქმის დამხმარე რესპუბლიკანურმა, კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხის რეალიზაციის კამპანიაში საჩვენებელ პუნქტებად გამოაცხადა: ოზურგეთის, ჭიათურის, ლაგოდეხის, გალის, ქობულეთის რაიონებში, ქალაქი თბილისი, თბილისის გარეუბნის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ფახულანის, ლამისყანის, და ამხ. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები, გარდა ამისა შირაქისა და ვარციხის საბჭოთა მეურნეობები.

თბილისი იბრძვის შემხვედრი გეგმის შესრულებისათვის

მოცემული საკონტროლო ციფრის მიხედვით, მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხი თბილისში უნდა გავრცელდეს 16.844.000 მანეთის ოდენობით.

თბილისის შემნახველმა სალაროებმა და საქალაქო დამხმარე კომისიამ წამოაყენეს შემხვედრი გეგმა 17.244000 მანეთის ოდენობაზე და ფართოდ გაშალეს ბრძოლა ამ გეგმის შესრულებისათვის:

16 მაისს, საღამოს 6 საათისათვის თბილისში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 16.783 კაცს—2.511.120 მანეთის ოდენობით, შესრულებული იყო შემხვედრი საკონტროლო ციფრის 14,5 პროც.

სექტორების მიხედვით ხელმოწერა შემდეგნაირად ნაწილდება: მუშა-მოსამსახურეებს 16.278 კაცს მოწერილი აქვთ ხელი 2.398.345 მანეთზე შესრულებულია შემხვედრი საკონტროლო ციფრის 16,8 პროც.; შეუვაშირებელ მოსახლეობას (241 კაცს) 60.895 მანეთზე (2,2 პროც.) და კოლმეურნეებს—(264 კაცს) 51.880 მანეთზე—19,8 პროც.

ლენინაიონში სესხზე ხელის მოწერა ჩატარებულია 288.360 მან. **სტალინის** სახ. რაიონში 1.112.250 მანეთზე; **26 კომუნარის** რაიონში—230.255 მანეთზე, **ორჯონიკიძის სახ. რაიონში**—805,880 მანეთზე და **გარეუბნის რაიონში**—73.700 მან.

საკონტროლო ციფრის შესრულებაში წინ მიდის **ლენინაიონი, რომელსაც** 16 მაისს საღამოსათვის შესრულებული ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა საკონტროლო დავალების 50 პროცენტი. მეორე ადგილი უჭირავს **სტალინის სახელობის რაიონს, რომელსაც** შესრულებული ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა საკონტროლო ციფრის 33 პროც.

ჩამორჩენილია 26 კომუნარის რაიონი, რომელსაც 16 მაისს საღამოსათვის შესრულებული ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა საკონტროლო ციფრის მხოლოდ 8 პრც.

ნებაყოფლობითმა ორგანიზაციებმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ

სახ. კრედიტის და საშემნახველო საქმის რესპუბლიკანური კომისიის უკანასკნელ სხდომაზე, მოსმენილ იქნა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მოხსენებები მეორე ხუთწლედის სესხის რეალიზაციაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

აღნიშნულ ორგანიზაციებიდან გასულ წელს სესხის რეალიზაციაში მონაწილეობდა „წითელი ჯვარი“, რემდესი, უცხოეთთან კავშირი, ხაზ-ბა „ტე“ და ავტოდაზა. ამთაგან გასულ კამპანიაში ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინა რემდესის ორგანიზაციამ, რომელმაც ასკონტროლო დავალება გადაჭარბებით შეასრულა. 800.000 მანეთის ნაცვლად გაასახა 1 მილიონის ობლიგაციები. შედარებით დამაკმაყოფილებლად ჩაეტარა კამპანია წითელმა ჯვარმაც.

როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა, ნებაყოფლობით ორგანიზაციებს წელს მოსამზადებელი მუშაობა ძალზე სუსტად აქვთ ჩატარებული. ბევრ მათგანს დღემდე არ მიუღია დირექტივები თავისი ცენტრალური ორგანოებისაგან. თათბირზე აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ გასულ წელს ნებაყოფლობით ორგანიზაციებს ზუსტად არ ჰქონდათ ტერიტორიალურად განაწილებული სამოქმედო რაიონები.

ცენტრალურმა დამხმარე კომისიამ წინადადება მისცა შემნახველ სალაროებს — დაეყოფნებინა განაწილონ ნებაყოფლობითი ორგანიზაციებს შორის სამოქმედო რაიონები, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს ერთდაიმავე რაიონში სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობას, რაც დაკავშირებული იყო არა ჯანსაღ ჭიშპთან. ნებაყოფლობით ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით დაეუზავნონ ადგილებს დირექტივები და რაიონებში გაგზავნონ თავიანთი აქტივი, რომელმაც ადგილებზე უნდა უხელმძღვანელოს სესხის რეალიზაციას იდიდივილურ მეურნეებს შორის. შემნახველ სალაროებს წინადადება მიეცა სასწრაფოდ მოაგვარონ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის აღრიცხვა.

სოციალისტური დარაგმეულობის სკოლა

დღეს ჩვენ ვებეჭდავთ საბჭოთა კავშირის ცაცის და სახკომსაბჭოს დადგენილებას „მეორე ხუთწლედის“ სესხის გამოშვების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ამ კანონს, რომელიც უკვე რადიოთი გადაეცა მთელს ქვეყანას, უაღრესად მხურვალედ გამოეხმაურებიან ჩვენი ქვეყნის მუშათა და მუშაქალთა, კოლმეურნეთა და კოლმეურნექალთა, მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა და ყველა მშრომელთა უფლართოესი მასები. ათეული მილიონები უდიდესი ენტუზიაზმით მისცემენ ხმას სესხის სასარგებლოდ, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედის სესხის სასარგებლოდ.

კაპიტალიზმთან სამხედრო ბრძოლის დამთავრებისას ლენინი აბობდა, რომ „ამჟამად ჩვენ თავის მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლიუციაზე ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით“. კაპიტალისტებს ეს ესმოდათ, მაგრამ მათ იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის გიგანტური პროგრამის განხორციელებას საკუთარ დაგროვებათა ხარჯზე. „ამის გამო,—ამბობდა ამხ. სტალინი,—დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებმა სრულიად უარი უთხრეს ჩვენს ქვეყანას კრედიტების ღა სესხების მიცემაზე, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ კრედიტების და სესხების უქონლობა აუცილებლად ძირს გამოუთხრიდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას“. კაპიტალისტების ეს იმედი დაიმსხვრა ისევე, როგორც დამარცხდა მათ სამხედრო ლაშქრობა საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ. ეს იმედი დაამხვრია სოციალისტური მშენებლობის კოლოსალურმა წარმატებებმა საბჭოთა კავშირში, პირველი ხუთწლედის პრწყინვალედ დამთავრებამ.

ბატონ კაპიტალისტებს, რომლებიც თავის მძიმე ინდუსტრიას ქმნიდნენ მუშების უსახტიკესი ექსპლოატაციის და დამარცხებული ქვეყნების და კოლონიების ძარცვის ხარჯზე, საერთაშორისო სესხების ხარჯზე, იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირი ვერ შესძლებდა ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას თავისი ძალებით. ისინი სასტიკად შეცდნენ.

„გარედან დამოკიდებული კრედიტების და სესხების მოულებლად“ (ტანი), უმაგალითოდ მოკლე ვადებში ჩვენ შევქმენით საკუთარი მძიმე ინდუსტრია, ჩვენ გადავაქციეთ საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, ჩვენ შევქმენით საკუთარი სამრეწველო ბაზა საბჭოთა მეურნეობის ყველა დარგების შემდგომი სოციალისტური რეკონსტრუქციისთვის.

ბატონ კაპიტალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ სოციალისტური ქალაქი კი არ გაიფილების სოფელს, არამედ, პირიქით, გლეხური წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია აიძულებს საბჭოთა ხელისუფლებას თანდათანობით ოქტომბრის მონაპოვარი დაუბრუნდეს კაპიტალისტური რესტავრაციის გზას, ისინი აქაც სასტიკად მოტყუდნენ ანგარიშში. საბჭოთა სოფელი სოციალისტური ქალაქის ხელმძღვანელობით, და ეყრდნო რა ახლად შექმნილ მძლავრ ინდუსტრიას, მთელი თავისი ძალით მობრუნდა სოციალიზმის გზისაკენ და განმტკიცდა ამ გზაზე. მთლიანი კოლექტივიზაციისათვის მომზადებით უპასუხა სოფლის ჩვენი ბრეწველობის პირველ წარმატებებზე. კულაკობა, როგორც კლასი, უმნიშვნელოვანეს რაიონებში ძირითადად ლიკვიდირებულია; სწარმოებს უკანასკნელი კაპიტალისტური ფესვების ამოგლეჯა საბჭოთა სოფელში. 200 ათასი კოლმეურნეობა და 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც საბჭოთა წარმოების ტრაქტორებით მუშაობენ, წარმოადგენენ სოციალიზმის საქმისათვის ბოლშევიკური პარტიის და მუშათა კლასის გმირული ბრძოლის შედეგს.

ბატონ კაპიტალისტები ცდილობდენ წამოეჭრიქებინათ საბჭოთა კავშირი, რისთვისაც იყენებდენ ჩვენს ჩამორჩენილობას და ტეხნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისადან დამოკიდებულებას. ცხოვრებამ მათ სასტიკად გაუცრუა იმედები. საბჭოთა კავშირი შორს წავიდა თავის ინდუსტრიალურ განვითარებაში, თავის ნებისყოფის განხორციელებაში — დაეწიოს და გაუსწროს ტეხნიკურ-ეკონომიური მხრით უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ნაქეი კაპიტალისტური ქვეყნებისა კი ამ ხნის განმავლობაში უკან დაიხიეს აღნული წლით უსახტიკესი ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით. კაპიტალისტები ვერ ეწევიან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას ანგთარებენ სამხედრო ტეხნიკას და ამდენჯერ ვნებენ, რომ ჩვენ მათ უთარალო ნი დავხდებოდით, მაგრამ ისინი აქაც შეცდნენ. საბჭოთა კავშირმა ისწავლა თავდაცვის ყველა თანამედროვე საშუალებათა წარმოება.

ჩვენ ვაშენებთ სახალხო მეურნეობას კაპიტალისტური მტაცებლობისაგან განთავისუფლებული საკუთარი ქვეყნის დაგროვებათა ხარჯზე და სოციალისტური დაგროვების წყაროთა შორის თვალსაჩინო როლს ასრულებენ საბჭოთა სესხები, რომლებიც ამავე დროს გადაიქცნენ მშრომელთა სოციალისტური დარაზმულობის საუცხოო სკოლად, მართლაც, პირველი ხუთწლედის გეგმით, ჩვენ ვითვალისწინებდით 4,4 მილიარდ მანეთის მასური სესხების გასალებას, გვასალეთ კი 5,8 მილიარდი მანეთის, სამმა დღეთადმა მიზეზმა უზრუნველეყო ჩვენი სესხების გასალების წარმატება.

პირველი მიზეზია ხუთწლედის უდიდესი პოპულიარობა, ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელი მასების სოციალისტური შეგნებულობის და დარაზმულობის გიგანტური ზრდა, მათი უაღრესი ერთგულება სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი, რომელიც ძლევამოსილად ხორციელდება ჩვენში ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის—სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენში სესხზე ხელისმოწერთა რიცხვი 40 მილიონია.

მეორე მიზეზია მოსახლეობის შემოსავლის დიდი ზრდა, რამაც საშუალება მოგვცა გადგესალებია სესხები უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გეგმებით იყო გათვალისწინებული. მართლაც, ხუთწლის წლიურ ფონდები პირველი ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში გაიზარდა 8 მილიარდი მანეთიდან 30 მილიარდ მანეთამდე. ხოლო მოსახლეობის საერთო შემოსავლი (გლეხობის ნატურალური შემოსავლის ჩათვლით) — 23 მილიარდიდან 70 მილიარდ მანეთამდე. და ეს მაშინ, როცა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შემოსავალი ამ წლების მანძილზე კატასტროფიულად დაეცა.

ბოლოს მესამე მიზეზია ჩვენი სესხების ხელსაყრელობა. ჩვენი სესხები იძლევიან შემოსავალს წლიურად 10 პროცენტს, ამას თან ახლი შემოსავალს. რომელსაც არ ეწუწკრება საბრძოლო რუტინს, გაუსვებს, სანაწყრაებს რაიმე რისკი, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ მსოფლიოში, და შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ძლიერდება მოთხოვნილება საბჭოთა სესხებზე უცხოეთიდან.

აქამდე ჩვენი სესხების მთავარი ხელისმომწერლები იყვნენ ქალაქის მუშა და მოსამსახურე. ქალაქის პროლეტარიატმა თავისი მასიური ინიციატივით გაუმჯობესა საბჭოთა სესხების საქმე და განამტკიცა იგი სახელოვნად. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ასასწავლი ბატონ კაპიტალისტებისათვის, რომელთა სესხებზე ხელის მოწერა ხდება ძალდატანებით, ხოლო ხელის მოწერის შემდეგ ხშირად ხდება ისე, რომ ობლიგაციები ხელში არასოდეს არ ხვდებათ ხოლმე მოსახლეობას.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელი მასები სოციალისტური შეგნებულობის და დარაზმულობის გიგანტური ზრდა, მათი უაღრესი ერთგულება სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი, რომელიც ძლევამოსილად ხორციელდება ჩვენში ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის—სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ჩვენში სესხზე ხელისმოწერთა რიცხვი 40 მილიონია.

მეორე მიზეზია მოსახლეობის შემოსავლის დიდი ზრდა, რამაც საშუალება მოგვცა გადგესალებია სესხები უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გეგმებით იყო გათვალისწინებული. მართლაც, ხუთწლის წლიური ფონდები პირველი ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში გაიზარდა 8 მილიარდი მანეთიდან 30 მილიარდ მანეთამდე. ხოლო მოსახლეობის საერთო შემოსავლი (გლეხობის ნატურალური შემოსავლის ჩათვლით) — 23 მილიარდიდან 70 მილიარდ მანეთამდე. და ეს მაშინ, როცა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შემოსავალი ამ წლების მანძილზე კატასტროფიულად დაეცა.

ბოლოს მესამე მიზეზია ჩვენი სესხების ხელსაყრელობა. ჩვენი სესხები იძლევიან შემოსავალს წლიურად 10 პროცენტს, ამას თან ახლი შემოსავალს. რომელსაც არ ეწუწკრება საბრძოლო რუტინს, გაუსვებს, სანაწყრაებს რაიმე რისკი, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ მსოფლიოში, და შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ძლიერდება მოთხოვნილება საბჭოთა სესხებზე უცხოეთიდან.

აქამდე ჩვენი სესხების მთავარი ხელისმომწერლები იყვნენ ქალაქის მუშა და მოსამსახურე. ქალაქის პროლეტარიატმა თავისი მასიური ინიციატივით გაუმჯობესა საბჭოთა სესხების საქმე და განამტკიცა იგი სახელოვნად. ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ასასწავლი ბატონ კაპიტალისტებისათვის, რომელთა სესხებზე ხელის მოწერა ხდება ძალდატანებით, ხოლო ხელის მოწერის შემდეგ ხშირად ხდება ისე, რომ ობლიგაციები ხელში არასოდეს არ ხვდებათ ხოლმე მოსახლეობას.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელი მასები სოციალისტური შეგნებულობის და დარაზმულობის გიგანტური ზრდა, მათი უაღრესი ერთგულება სოციალისტური მშენებლობის საქმისადმი, რომელიც ძლევამოსილად ხორციელდება ჩვენში ბოლშევიკური პარტიის და მისი ბელადის—სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორის — ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენში სესხზე ხელისმოწერთა რიცხვი 40 მილიონია.

მეორე მიზეზია მოსახლეობის შემოსავლის დიდი ზრდა, რამაც საშუალება მოგვცა გადგესალებია სესხები უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გეგმებით იყო გათვალისწინებული. მართლაც, ხუთწლის წლიური ფონდები პირველი ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში გაიზარდა 8 მილიარდი მანეთიდან 30 მილიარდ მანეთამდე. ხოლო მოსახლეობის საერთო შემოსავლი (გლეხობის ნატურალური შემოსავლის ჩათვლით) — 23 მილიარდიდან 70 მილიარდ მანეთამდე. და ეს მაშინ, როცა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შემოსავალი ამ წლების მანძილზე კატასტროფიულად დაეცა.

ბოლოს მესამე მიზეზია ჩვენი სესხების ხელსაყრელობა. ჩვენი სესხები იძლევიან შემოსავალს წლიურად 10 პროცენტს, ამას თან ახლი შემოსავალს. რომელსაც არ ეწუწკრება საბრძოლო რუტინს, გაუსვებს, სანაწყრაებს რაიმე რისკი, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ მსოფლიოში, და შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ძლიერდება მოთხოვნილება საბჭოთა სესხებზე უცხოეთიდან.

აქამდე ჩვენი სესხების მთავარი ხელისმომწერლები იყვნენ ქალაქის მუშა და მოსამსახურე. ქალაქის პროლეტარიატმა თავისი მასიური ინიციატივით გაუმჯობესა საბჭოთა სესხების საქმე და განამტკიცა იგი

მტაცებლობასა და მფლანგველობასთან ბრძოლის საკითხზე ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

1. საჭიროდ იქნას ცნობილი ბრძოლის საგრძნობლად გაძლიერება მტაცებლობასა და მფლანგველობასთან და მიეცეს მას უფრო ორგანიზებული მასიური ხასიათი.

2. მიეცეს მუშაზლეხინის მუშაობას უფრო მასიური ხასიათი, რისთვისაც გაძლიერდეს კავშირი ქარხნებთან, შეიქმნას მუშაზლეხინის გარშემო მასიური აქტივი მუშებისა და კოლმეურნეებისაგან; „მსუბუქი კავალერისის“ მუშაობამ უნდა მიიღოს უფრო ფართო სისტემატიური ხასიათი და სხ.

3. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს მთელი რიგი გაზეთების აშკარა გაუბედაობას სხვადასხვა დეფექტებისათვის კონკრეტულ დამნაშავეთა მხილებაში („შიში აწუხებთ“). დაევალოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას შეამოწმოს 3 თვის ვადაში თითოეული გაზეთის მუშაობა ამიერ-კავკასიაში მის მიერ, „პიროვნებათა მიუხედავად“, თვითკრიტიკის გაშლის თვალსაზრისით. ჩატარებული მუშაობის შესახებ ყოველ დეკადებით მოხსენდეს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს სამდივნოს.

4. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი საჭიროდ სცნობს განსაკუთრებულად აღნიშნოს ის აბსოლუტურად დაუშვებელი ფაქტი, რომ, მფლანგველობასა და მტაცებლობაში „კომუნისტების“ და „კომკავშირელების“ მონაწილეობის მთელი რიგი შემთხვევების მიუხედავად, პარტიული და კომკავშირული უჯრედები, აგრეთვე იმ დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობა, სადაც გამოაშკარავებულ იქნა მტაცებლობა და მფლანგველობა ხშირად გვერდს უვლიან ამ ფაქტებს, თავის დროზე არ აშკარავებენ მათ და არ დებულობენ წინააწყარ ზომებს მათი ასაცილებლად. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი სთვლის, რომ ასეთმა „უჯრედებმა“ და ასეთმა „ხელმძღვანელობამ“ დაკარგეს რევოლიუციური სიფხიზლე და რომ ისინი წარმოადგენენ საუკეთესო საფარს კლასობრივი მტრის ქურდული მახინაციებისათვის.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი ავალებს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს შეამოწმონ თითოეული ასეთი „უჯრედის“, თითოეული ასეთი „ხელმძღვანელობის“ მუშაობა და დაუნოგადად გააძევონ პარტიის რიგებიდან ყველა ისინი, ვინც ჩქმალავს და ხელს აფარებს უმსგავსობებას, ვინც სიმხდალის, შინაურულობის, ურთიერთმოკრძალების და სხვა მიზეზებით ახშობს ხალ თვითკრიტიკას და ვინაც აშინებს ავადმყოფურ მოვლენათა გამოაშკარავება. დაევალოს ა. კ. სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას მოახსენოს ა. კ. სამხარეო კომიტეტის სამდივნოს უახლოეს სხდომაზე რამოდენიმე ასეთი „უჯრედის“ მუშაობის შესახებ.

5. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი სრულიად დაუშვებლად სცნობს იმ მეტის-მეტ სინელეს და გაუბედაობას, როგორადაც მიმდინარეობს სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციების გაწმენდა მათი შემადგენლობის დამანაგვიანებელი მტრულ და უცხო ელემენტებისაგან.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი აგალებს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს შეამოწმონ თითოეული ასეთი „უჯრედის“, თითოეული ასეთი „ხელმძღვანელობის“ მუშაობა და დაუნოგადად გააძევონ პარტიის რიგებიდან ყველა ისინი, ვინც ჩქმალავს და ხელს აფარებს უმსგავსობებას, ვინც სიმხდალის, შინაურულობის, ურთიერთმოკრძალების და სხვა მიზეზებით ახშობს ხალ თვითკრიტიკას და ვინაც აშინებს ავადმყოფურ მოვლენათა გამოაშკარავება. დაევალოს ა. კ. სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას მოახსენოს ა. კ. სამხარეო კომიტეტის სამდივნოს უახლოეს სხდომაზე რამოდენიმე ასეთი „უჯრედის“ მუშაობის შესახებ.

6. წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს პერიოდულად მოისმინონ მოხსენებანი მფლანგველობასა და მტაცებლობასთან ბრძოლის შესახებ და მოახდინონ ყველა ორგანიზაციების ყურადღების მობილიზაცია ამ ბოროტებასთან ბრძოლის გარშემო.

საადრიო საანეულო მოსავლის ჩატარების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1933 წლის 16 მაისის დადგენილება

საქ. კ.პ. (ბ) ცეკა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საადრიო საანეულო მოსავლის გვალვის და სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლაში, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების და მოსავლიანობის გადიდების საქმეში, წინადადებას აძლევს მიწსახკომს, ტრაქტორცენტრს და აღმოსავლეთ საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. ჩაატარონ საადრიო საანეულო ნათესვა 54.170 ჰექტარზე, აქედან მიწსახკომის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—2630 ჰექტარზე და გლეხურ სექტორში—51540 ჰექტარზე.

ამ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო სატრაქტორო სადგურები, საადრიო საანეულო მოსახვნა მიწის ფართობი ღაწესდეს 6673 ჰექტარის ოდენობით, აქედან ტრაქტორებით მოხნული უნდა იქნეს 5710 ჰექტარი.

2. გათხნა-დამუშავების კამპანიის და საანეულო მოხვნის უზრუნველსაყოფად ტრაქტორცენტრმა და საბჭოთა მეურნეობების ყველა გაერთიანებებმა დაამთავრონ არა უგვიანეს 25 მაისისა ტრაქტორების ტეხნიკური დათვალიერება და გამაფრთხილებელი რემონტი, ამავე დროს მიიღონ ზომები მისაბმელი ინვენტარის (კულტივატორები, სახნისები და სხ.) მომზადებისა და რემონტისათვის.

მიწსახკომმა და ტრაქტორცენტრმა ორი დღის ვადაში დაწესოს, თუ რამდენი ტრაქტორი, რა წესით და რა ვადაში უნდა იქნეს გაგზავნილ დასავლეთ საქართველოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებსა და სამანქანო სატრაქტორო სადგურებში დახმარების გასაწევად საანეულო ხვნის, გათხნა-დამუშავების და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარების პერიოდში.

3. რაიმამოწმებელმა განყოფილებებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა შეამოწმონ, თუ რამდენად არის მომზადებული ცოცხალი გამწევი ძალა საანეულო მოხვნისა და მწკრივებს შორის კულტივაციისათვის, ამასთან მიიღონ ზომები, მუშა-პირუტყვის გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანისათვის და მისი სწორად მოვლისა და გამოყენებისათვის.

4. ნიადაგში ნოტიოს დაგროვების და სარეველა ბალახების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის მიზნით, საანეულო ხვნა ჩატარდეს მიწსახკომის მიერ დაწესებულ საადრიო ვადებში იმ ანგარიშით, რომ დამთავრდეს მუშაობა დაბლობ რაიონებში მაისის დამლევს და მთიან რაიონებში (ახალციხე, ბაშკიჩეთი, ახალქალაქი, ბოგდანოვკა და სხვ.) ივნისის მე-2 ნახევარში.

5. საანეულო ხვნის დროს უზრუნველყოფილ იქნას ღრმად მოხვნა (15—18 სანტ.) სიღრმეზე და გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს არა ღრმად მოხვნის პრაქტიკას.

6. ნოტიოს შენარჩუნების მიზნით, ჩატარდეს მთელი საანეულო ფართობის დაფარცხვა—მაშინვე წვიმის შემდეგ, როგორც კი ნიადაგი შეშრება. შემდეგში, ზაფხულის პერიოდის განმავლობაში, სარეველა ბალახების მოსასპობად ჩატარდეს ანეულის დაფარცხვა ან კულტივაცია სარეველა ბალახების გავრცელების მიხედვით. ძალიან დანაგვიანებულ ნაკვეთებზე ჩატარდეს ქერქის შემოცლა (ფენის გადმოუბრუნებლად).

7. საქ. კ.პ.(ბ) ცეკა წინადადებას აძლევს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანოებს, გათხნა-დამუშავების კამპანიის გაშლასთან ერთად, დაუყოვნებლივ გადაიყვანონ საბჭოთა მ

გაზაფხულის ბრძოლა შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავების ტემპები

ჭარხლის ნათესების დამუშავება სუსტად მიმდინარეობს

ხაჭ. ტრაქტორცენტრის ცნობების, შაქრის ჭარხლის ნათესების გათხნა-დამუშავების კამპანია დაუსვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს. 10 მაისისათვის გორის რაიონის კოლმეურნეობებს ჭარხლის ნათესების პირველი გათხნის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 32 პროც., ქასპის რაიონის კოლმეურნეობებს — 10 პროც. სტალინისის რაიონის კოლმეურნეობებს — 2,5 პროც.

ეს ციფრები მოწმობენ, რომ სტალინისის რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩა ჭარხლის ნათესების დამუშავების საქმეში. ეს გარემოება საფრთხეს უმზადებს ჭარხლის მოსავლიანობის გაღიდებას.

ჭარხლის ნათესების დამუშავება განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეობებში.

შაქრის ჭარხლის რაიონების პარტიულ ხაბჭოთა, კომკავშირულ და სამოწადმოწყობო ორგანიზაციებმა ჭარხლის ნათესების დამუშავების ვადაზე შესრულება უნდა მოაქციონ თავიანთ ყურადღების ცენტრში. შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავების ტემპები უნდა გააძლიეროს განსაკუთრებით სტალინისის რაიონმა.

თესვა დაამთავრეს

სენაკი

სენაკის რაიონმა 15 მაისს პატაკით მიმართა საკ. კ. პ. (ბ) ა. -კ. სამხარეო კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტს, საქ. სახკომსაბჭოს, საქ. მიწმოსკომს და გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

პატაკში ნათქვამია, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკ. კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვის — სოფლად მუშაობის შესახებ — რეალიზაციით და პარტმასიური მუშაობის ფართოდ გაშლით, სენაკის რაიონმა სა გაზაფხულო თესვის ფრონტზე დიდ წარმატებებს მიაღწია.

15 მაისისათვის რაიონში დათესილი იყო ერთწლიანი კულტურები 17.485 ჰექტ. გეგმის — 101,2 პრ., აქედან სიმინდი 16.891 ჰექტ.—გეგმის 100,3 პროც., არახისი — 150 ჰექტ. — გეგმის 100 პროც., ბოსტანი — 291 ჰექტ. — 101,8 პროც., ლუფა—15 ჰექტ.—100 პროც.

მრავალწლოვანი კულტურები დარგულია 218 ჰექტ. გეგმის 100,1 პროც.

ჩოხატაური

15 მაისისათვის ჩოხატაურის რაიონში ჩაის პლანტაციებისათვის მომზადებული ქონდა ნიადაგი 59 ჰექტარი მომდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმის 196 პროც., დათესილია (ჩაი) 39 ჰექტარი, გეგმის — 130 პროც., ჩაის პლანტაციები აღდგენილია 256 ჰექტ. 100 პროც., შეკეთებულია პლანტაციები 311 ჰექტარი 167 პროც., გაკრეჭილია პლანტაციები 818 ჰექტ. 100 პროც. მოკრეფილია ჩაის მწვანე ფოთოლი 3.000 კილოგრამი. გათხნილია (პირველად) ჩაის პლანტაციები 596 ჰექტ.

დათესილია **სიმინდი** 7206 ჰექტ. კართოფილი 114 ჰექ. ბოსტანი 115 ჰექტ., ლომი 56 ჰექტ., ლობიო 570 ჰექტ., სოია — 750 ჰექტ.

დაკონტრაქტებულია თამბაქო 377 ჰექტ. გეგმის 101 პროც. დარგულია ვენახი 12 ჰექტ., აბრეშუმის კონტაუტაციის გეგმა შესრულებულია 106 პროც.

შაქრის ჭარხლის დამუშავებაში წინ მიდის ხარბეგაშვილის ბრიგადა

(„კომუნისტი“-ს გამსვლელი ბრიგადისაგან).

გორი, 16 მაისი. კარალეთის—სოფლო საბჭო ბოლშევიკურად იბრძვის შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავლიანობისათვის. მიმდინარე წელს სასოფლო-საბჭომ შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა გადაჭერბებით შეასრულა.

წელს ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: ჭარხლის სათესი ფართობი მთლიანად მოხნა მძრალად 20—22 სანტ. სიღრმეზე, თესვის წინ მძრალათ მოხნულ ფართობი ორ კვალად დაფარცხეს და შემდეგ ნიადაგი გააფხვიერეს. თესლი შეწამლეს ფორმალინის ხსნარით და წინასწარ შეამოწმეს მისი აღმოცენების უნარიანობა. თესვის დროს ერთ ჰექტარზე შეიტანეს 2 ცენტნერი მინერალური სასუქი.

1-ლ მაისიდან დაიწყო ჭარხლის ნათესების პირველი თხნრა. 11 მაისისათვის გათხნილი იყო 81 ჰექტარი, ანუ გეგმის 67 პროცენტი **ამყამად, პირველ თხნასთან ერთად, პარალელურად მიმდინარეობს ჭარხლის ჩათესების მეორე თხნაც.**

კოლმეურნეობებსა და ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციშეჯიბრება და დამკვრელობა. წინ მიდიან სოფელ **კარალეთის, პატარა გარეჯვარის** და **ქვემო-მორეხას** კოლმეურნეობები. ცალკე საკოლმეურნეო ბრიგადები და კოლმეურნეები შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავების ტემპში იძლევიან მუშაობის სანიმუშო მაგალითებს. № 3-ე ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს კომკავშირელი **გამო ხარაბეგაშვილი,—ვადაზე ხუთი დღით ადრე დაამთავრა ჭარხლის პირველი თხნა** ხარისხობრივი მხრივ ნესების მტკიცედ დაცვით. ხარაბეგაშვილის ბრიგადა გაცხოველებით შეუდგა ჭარხლის მეორე გამარგვლა შეთხელებას.

შაქრის ჭარხლის პირველ თხნის გეგმას წარმატებით ასრულებს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის № 8 ბრიგადა.

კარალეთის სასოფლო-საბჭომ მომდინარე წელს სახელშეწიფოს უნდა ჩააბაროს (მიყიდოს) 19000 ცენტნ. შაქრის ჭარხალ-ამ საბრძ. დავალების შესრულებას სას. საბჭო შესძლებს სან.კ.პ.(ბ) ცეკას 10 მაისის დადგენილების (შაქრის ჭარხლის ნათესების დამუშავების კამპანიის მომზადების და ჩატარების შესახებ) ურყევად გატარების საფუძველზე.

ტ. აცანელი, აფხაზავა

გამასხარავებული უილწლო დიპლომატის „საზღვიმო მსვლელოგა“

(ტელეფონით „პრავდა“-ს ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 15 მაისი. როზენბერგის გამგზავრება ლონდონიდან აღინიშნა გუშინ საღამოს ახალი ანტიფაშისტური დემონსტრაციებით. პოლიციამ მიიღო ზომები დემონსტრაციების ასაცილებლად. ვაგზალს, პირობს და ვაგონის განყოფილებას, რომელშიც როზენბერგი მოთავსდა იცავდენ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები. როზენბერგს განზრახ წინასწარ არ შეუტყვეთია ადგილი მატარებელში. მიუხედავად ამისა კომპარტიის-მუშების ჯგუფმა შეუმჩნეველად დაიკავა პოზიცია გადასასვლელ სიღზე, რომელიც პლატფორმებს აერთიანებს. როცა როზენბერგი, რომელიც მატარებლის გასვლამდი რამოდენიმე წუთით ადრე მოვიდა და ხიდის ქვეშ აღმოჩნდა, ზემოდან გაისმა შეძახილი: „შორს ლონდონიდან! ძირს, ჰიტლერი! ძირს ფაშიზმი!“ ერთმა დემონსტრანტმა აღმართა წითელი სასიგნალო სარკინიგზო ნიშანი. ამავე დროს დემონსტრანტებმა ძირს ჩამოყარეს ანტიფაშისტური ფურცლების მთელი დასტა, რაც მოეფინა პირონს, ავრეთვე როზენბერგს და მის თანამგზავრთ. პოლიციელებმა დემონსტრანტებს და უკან დაახევინეს ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, ამასთან დააპატიმრა რამოდენიმე კაცი, მაგრამ როზენბერგი, ეტყობა შეშინდა და სწორედ დაიმალა კუპეში, საიდანაც უკვე აღარ გამოჩენილა.

ბევრი გაზეთი აღნიშნავს, იმ შიშსა და ნერვიულობას, რაც ამ სკენის დროს ნაციონალ-სოციალისტების უიღბლო დიპლომატმა გამოაშკარავა. მაგრამ ბატონ როზენბერგის გამომგზავრებისათვის მიძღვნილ მოწონებას უსიამოვნება ამით არ გათავებულა. როცა ის უკანასკნელ პუნქტში მატარებლიდან გემზე ჯდება და კონტინენტზე გადასვლისულად, ინგლისელ მგზავრთა ჯგუფიდან კვლავ გაისმა შეძახილი: „ძირს ჰიტლერი და ფაშისტი მკვლელები!“ ასე გაიცილა როზენბერგი ინგლისის პროლეტარიატმა.

ეკონომიური გრძნობის სამხედრო მახვილი

(„პრავდა“-ს პარიზელი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 15 მაისი. ერთი გუშინ გამოცემა ვრცელი სტატიით რადიკალური პარტიის სოლიქო ორგანიზაციის ყრილობაზე მარსელში. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა დიპლომატებია, რომ ვაშინგტონში მის მიერ გამართული მოლაპარაკება ნაყოფიერი გამოდგა, მან ვერ შესძლო დაესახელებია თუნდაც ერთი რეალური მიღწევა.

„ეკონომიური წყრომა:

„ვალების პრობლემა წაიწყდა კონგრესის წინააღმდეგობას, დროებით სტაბილიზაციის კომედია ცხადყოფს, თუ რას უნდა მოველოდეთ ეკონომიური კონფერენციისაგან, რომელიც არაფერს მოგვცემს. სანამ ვალიუტების სტაბილიზაცია არ მოხდება“.

მეტად დამახასიათებელ წერილს, რომელიც მოწმობა საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობას, ათავსებს **პერტინაკსი** „ეკო დე პარი“-ში. ის წერს:

„მოითხოვს რა 20 მილიონი დოლარის გადახდას, რუზველტი, როგორც ჩანს, არ ფიქრობს, მიმართოს კონგრესს, რათა მის ნებას რწმუნება გადასცეს საკითხში დროებითი ზავის დასადგენად. პირიქით, რუზველტს და მის მრჩევლებს, როგორც ეტყობა, განზრახვა აქვთ მოგვთხოვონ 40 მილიარდი ფრანკის გადახდა სამხედრო ვალების სამოლოოდ გასასტუმრებლად“.

პერტინაქსი მიუთითებს, რომ, რამდენადაც „ამერიკელების უარმა შეემცირებით სამხედრო ვალები რეპარაციების შემცირებასთან შეფარდებით, გამოიწვია ლოზანის შეთანხმებათა გაუქმება, იბადება საკითხი იმის შესახებ, რომ გადადგმულ იქნას ნაბიჯები გერმანიიდან რეპარაციების მისაღებად.

„ინგლისში.—აცხადებს პერტინაქსი,—ლა პარაკობენ რეინის ოლქის ახალი ოკუპაციის შესახებ. მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ვერსალის ხელშეკრულება, შეიცავსებული იუნგის 1930 წლის შეთანხმებით, ნებას არ იძლევა მოკავშირეთა არმიების დაბრუნებაზე რეინის ოლქში, თუ ჰიტლერის ტრიბუნალი გერმანიას დანიშავედ არ სცნობს“.

პერტინაქსი ფიქრობს, რომ შექმნილ მდგომარეობაში ჰაგის ტრიბუნალი გამოიტანდა „სათანადო გადაწყვეტილებას“, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს წარმოადგენს „ამერიკული მოუდრეკლობის თეორიულ შედეგს“ (ადს).

ანრი ბარბიუსს უსრულდება 60 წელი

მოსკოვი, 16 მაისი. (საკუთარ კორეს-პონდენტისაგან) 17 მაისს ანრი ბარბიუსს უსრულდება 60 წელი. თქვენს კორესპონდენტთან საუბრის დროს მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების თავმჯდომარემ, გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა **ვილი მუნცენბერგმა** განაცხადა: იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მებრძოლი, ბარბიუსი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ამ პროლეტარულ მწერლებიდან, რომლებიც ენტუზიაზმით მიეალმენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას რუსეთში და რომლებმაც გამოუცხადეს მას სრული სოლიდარობა. იგი უყოყმანოდ იბრძვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის და მისი ერთგული დარჩება კუბოს ფიცრამდე.

ბარბიუსი გახდა კომუნისტი. ბარბიუსი, რომელსაც ამოძრავებდა ძმური სოლიდარობა გაყვლეფილ დარჩენებულ მასების უღარიბესი ფენებისა მიმართ, მონაწილეობს, ღებულობდა მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების შექმნაში და იგი დღემდე დარჩა მისი უაღრესად საიმედო და თავგანწირულ თანაშემწედ. მუშათა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების დაარსების დღიდანვე ბარბიუსი არის, მისი საერთაშორისო ცენტრალური კომიტეტის წევრი. ბარბიუსი აგრეთვე იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ჩაგრულ ეროვნებათა იმპერიალისტური, კოლონიალური დანიშების წინააღმდეგ მებრძოლი კონგრესისა, რომელიც 1927 წლის გაზაფხულზე შედგა ბრიუსელში. ამ კონგრესზე, სადაც იდეოლოგიის ნაციონალური კონგრესის წარმომადგენლები პირველად შეხვდენ იმპერიალისტური ქვეყნების დელეგატებს და რომლის მუშაობაშიაც მონაწილეობას ღებულობდენ რევოლუციური ჩინეთის, ინდონეზიის, ჩრდილოეთ აფრიკის ოკრის ხალხების დელეგატები, ანრი ბარბიუსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მუდამ დაუვიწყარი იქნება კონგრესის მონაწილეთათვის.

ანრი ბარბიუსს ერთ-ერთი პირველი აღგილი უჭირავს იმ მცირეოდენთან მწერლებს შორის, რომლებიც უკვე მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში შეუპოვრად აწარმოებენ ბრძოლას რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სტადიისაკენ ფრონტებზე. მას შესწევს უნარი გაბედულად შეხედოს თვალებში სინამდვილეს, მას ახასიათებს სოციალიზმისათვის შებრძოლის გაბედულება და დაჯილდოებულია იშვიათი ნიჭით მხატვრულად გააფორმოს ის, რასაც ხედავს, განიცდის და გებულობს. ამავე დროს ბარბიუსი არის სატენდენციო მეგობარი, პაწიაწია, რომელიც მუდამ მზად არის დაგეხმაროს, გასაჭირის დროს. ანრი ბარბიუსი არის პროლეტარული რევოლუციის პოეტი, მებრძოლი და იგი უშუალოდ დარჩება ასეთად.

ა.-კ. მომარაგების საკალხო კომისარიატმა უნდა აღმოფხვრას დეფექტები მუშაობაში

მოსკოვი, 15 მაისი. ამიერ-კავკასიის კვების მრეწველობის მუშაობა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. პროგრამა შესრულებულია მხოლოდ 79 პროცენტით. **ა.კ. ზფსრ** მომარაგების **სახ. კომისარიატმა,** ცენტრის ნებართვის გარეშე, შეამცირა ხორცის, ხილბოსტნეულის, თაშბაკოს, ერბო-კარაქის, ლუდის და უალკოგოლო სასმელების მრეწველობათა გეგმები. ახლად ამუშავებულმა ბაქოს შაქრის ქარხანამ, დიდი დანაკარგების და შაქრის ნაკლებად მიღების გამო, დასახული გეგმა მხოლოდ 59,5 პროც. შეასრულა.

აზერბეიჯანში და საქართველოში, ხატრანსპორტო საშუალებათა სიმცირის გამო, დამზადებულ ხილბოსტნეულის გადაზიდვას ჩაშლა მოეკლო. ბევრ საწარმოში მოიპოება ზედმეტი მუშა-ხელი.

ამიერ-კავკასიის კვების მრეწველობაში არსებული ამ დეფექტების ლიკვიდაციისათვის საბჭოთა კავშირის მომარაგების სახ. კომისარიატმა მიიღო მთელი რიგი ზომები. მაგალითად, ა.კ.ფ.ს.რ. მომარაგების სახალხო კომისარიატს მიეცა კატეგორიული მითითება, რომ დაუშვებელია საბჭოთა კავშირის მთავრობის და სახ. კომისარიატის მიერ დამტკიცებულ გეგმებს თვითნებურად შემცირება.

ა.კ.ს.ფ.ს.რ. მომარაგების სახ. კომისარიატი მოვალეა უველა ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით შრომის ხელფასთა ფონდების გადახარჯვაში, ორი კვირის ვადაში მისცეს ბასუხისგება. მუშა-ხელის რაოდენობა საწარმოებსა და ტრესტებში 15 დღის ვადაში სავსებით უნდა შეუფარდდეს გეგმას და წარმოების მოცულობას.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისარიატის ბრძანებაში, **ა.კ.ს.ფ.ს.რ. მომარაგების სახ. კომისარიატის** წინადადება მიეცა ორი თვის ვადაში გამოჰყოს მისთვის მაწის და ტებით ფართობი ჭარხლის დასათესად და განამტკიცოს ამიერ-კავკასიაში ჭარხლის-ბედან გადაყვანილი გამოცდილი მუშებით.

ხილბოსტნეულის თავის დროზე გადაზიდვის უზრუნველყოფის მიზნით, **ხახ. კომისარიატმა** მიიღო მთელი რიგი ზომები. მაგალითად, **ა.კ.ფ.ს.რ. მომარაგების სახალხო კომისარიატს** მიეცა **კატეგორიული მითითება,** რომ დაუშვებელია **საბჭოთა კავშირის მომარაგების სახ. კომისარიატის** ნებართვის გარეშე ხილბოსტნეულის, ხორცის, ერბო-კარაქის, ლუდის და უალკოგოლო სასმელების მრეწველობათა გეგმების შემცირება.

იაპონია-ჩინეთის ომი

ჩინელები ვანაგრძობენ შეპაე დახვრას. ბეიპინში მღელვარებაა

შანხაი, 15 მაისი. ჩინელებმა დასტოვეს ლუანჭოუ და დაიხიეს დასავლეთისაკენ. იაპონური ცნობებით ჩინელებმა ამ ბრძოლაში დაჰკარგეს 1.300 მოკლული.

სიფინკოუს რაიონში იაპონელები გადავიდენ მდინარე ლუანზე და სდევნიან ჩინელებს ბეიპინის მიმართულებით.

ნანტაანმინის რაიონში, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, რომელშიაც ოფიციალური ცნობებით ჩინელებმა დაჰკარგეს 1.000 კაცი მოკლულები და დაჭრილი, იაპონელებმა დაიკავეს შაია. ნანტაანმინის და მიუნგის შორის.

ბეიპინთან იაპონელების მიახლოების გამო, ქალაქში იზრდება მღელვარება. ქალაქის ცხადისება ნაწილებში აგებულია ბარიკადები. ბეიპინში კიდევ ჩავიდა ნანკინის ორი დივიზია. იტყობიან, რომ ფრონტზე კრიტიკული მდგომარეობის გამო **ვან-ძინ-ვეის** წინადადება მისცა ჩრდილოეთ ჩინეთის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ჟუან-ფუს დაუყოვნებლივ გაემგზავროს ბეიპინში.

ოფიციალური განკოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს

მოსახლეობის შრომითი მოწაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულების ზრდის ჩატარების შესახებ

1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმების წარმატებით აღსრულებისა და საგზაო სამუშაოებზე შრომითი საგზაო ბეგრების წესით მოსახლეობის გეგმა შეწონილად გამოყენების უზრუნველყოფისათვის, თანაც ამ საქმიანობის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაოებთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის მაისის 20-დან ივნისის 20-მდე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის ვიაურის.

2. ვიაურის ძირითად ამოცანას შეადგენს მშრომელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა გზათა მშენებლობაში მასიური ახსნა-განმარტებითი კამპანიით და მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოების გეგმიანად მოწყობა.

3. ვიაურის განმავლობაში ჩასატარებელი მუშაობა დაყოფილ უნდა იქნეს ორ პერიოდად: მოსამზადებელი და მოსახლეობის ორგანიზაციულად გამოყენა საგზაო სამუშაოებზე.

4. ვიაურის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს ყველა-მასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისია (შტაბი) ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით და ამხანაგთა ვ. ქურთაძისა (თავ. მჯდომარის მოადგილე), მ. გარაშვილისა (სრულიად საქართველოს ცენტ. აღმ. კ-ტის სორგანიზაციო განყოფილება) თანაორშეთისა (სრულიად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი), კვიციანძისა („ავტოგზის“ სახოგად.), შახბაზიანისა (სახ. აღმკ ცენტ. კომიტეტი), კაკიჩაშვილისა (საქ. სსრ გზატკ. ყამირგზ. და საავტომობ. ტრანსპ. სამმართველო) და „მოსპორტშენი“-ს კომუნარის ცენტრალური გაზეთისა და გაზ. თებილისის „კომუნისტი“-სა, „ტიფლისსკი რაბოჩი“-სა და „კოლქტივიზაციის“ რედაქციების წარმომადგენელთა შეთანხმებით.

5. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-ტერიტორიულ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს:

ა) იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სათანადო რაიონების ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის საგზაო მშენებლობის თვიურის ჩატარებას და ბ) მოაწყონ უგზოობასთან ბრძოლის საროიონო კომისიები (შტაბები).

6. მიეწეროს საქართ-ლოს სსრ შეიგვირთა ბაში შემავალი ატტონომიური რესპუბლიკების და ატტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების აღსრულებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ყულუკი

1933 წ. მაისის „13“
ტფილისი.

მარცვლეული

14 მაისს ჭიათურის მარგანეცით ამოღებულია 2.392 ტონა მარგანეცი—გეგმის 70 პროც.

	ამოღება: დღიური დავალება	ამოღებულია	შესრულების პროცენტი
მალაროების პირველი ჯგუფი	1.496	1.537	102,7
მეორე ჯგუფი	1.781	855	48
გარეცხვა			
პირველი ჯგუფი	604	627	103,8
მეორე ჯგუფი	852	463	54,5

შეცდომის გასწორება

საქ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის 1933 წ. 15 მაისის დადგენილებაში („თბილისის მრეწველობის 1933 წლ. პირველი კვარტალის და აპრილის მუშაობის შედეგების შესახებ“), რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, პირველ სვეტის პირველ აბზაცში **წერია:** „თბილისის კომიტეტის ბიურო, რომელმაც მოისმინა მოხსენება თბილისის მრეწველობის ოთხი თვის მუშაობის შედეგების შესახებ, **დამაკმაყოფილებლად** სცნობს სამრეწველოსაფინანსო გეგმის შესრულებას მრეწველობაში მთლიანად“. **უნდა იყოს: „არა დამაკმაყოფილებლად სცნობს...** და სხვა.

ოფიციალური განკოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს

მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულების ზრდის ჩატარების შესახებ

1933 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის გეგმების წარმატებით აღსრულებისა და საგზაო სამუშაოებზე შრომითი საგზაო ბეგრების წესით მოსახლეობის გეგმა შეწონილად გამოყენების უზრუნველყოფისათვის, თანაც ამ სამუშაოების სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაოებთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის მაისის 20-დან ივნისის 20-მდე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით საგზაო მშენებლობის ვიაურის.

2. ვიაურის ძირითად ამოცანას შეადგენს მშრომელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა გზათა მშენებლობაში მასიური ახსნა-განმარტებითი კამპანიით და მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოების გეგმიანად მოწყობა და ბ) მოაწყონ უგზოობასთან ბრძოლის საროიონო კომისიები (შტაბები).

3. ვიაურის განმავლობაში ჩასატარებელი მუშაობა დაყოფილ უნდა იქნეს ორ პერიოდად: მოსამზადებელი და მოსახლეობის ორგანიზაციულად გამოყენა საგზაო სამუშაოებზე.

4. ვიაურის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს ყველა-მასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისია (შტაბი) ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით და ამხანაგთა ვ. ქურთაძისა (თავ. მჯდომარის მოადგილე), მ. გარაშვილისა (სრულიად საქართველოს ცენტ. აღმ. კ-ტის სორგანიზაციო განყოფილება) თანაორშეთისა (სრულიად საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი), კვიციანძისა („ავტოგზის“ სახოგად.), შახბაზიანისა (სახ. აღმკ ცენტ. კომიტეტი), კაკიჩაშვილისა (საქ. სსრ გზატკ. ყამირგზ. და საავტომობ. ტრანსპ. სამმართველო) და „მოსპორტშენი“-ს კომუნარის ცენტრალური გაზეთისა და გაზ. თებილისის „კომუნისტი“-სა, „ტიფლისსკი რაბოჩი“-სა და „კოლქტივიზაციის“ რედაქციების წარმომადგენელთა შეთანხმებით.

5. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-ტერიტორიულ ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს:

ა) იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს სათანადო რაიონების ტერიტორიაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის საგზაო მშენებლობის თვიურის ჩატარებას და ბ) მოაწყონ უგზოობასთან ბრძოლის საროიონო კომისიები (შტაბები).

6. მიეწეროს საქართ-ლოს სსრ შეიგვირთა ბაში შემავალი ატტონომიური რესპუბლიკების და ატტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების აღსრულებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
შ. მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თ. ყულუკი

1933 წ. მაისის „13“
ტფილისი.

კარტიშხი და საბჭოთა კალენდარი

17 მაისს საღამოს 7 საათზე თბილისის **კომიტეტის აგიტმასგაყოფილებაში** (თბილისი № 48) შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: შალომანი, ქართველიშვილი, ნარსია, კირკიანი, ჭინჭურაშვილი, ადამია, გრიგოლია მელქანი, ამბარცუმი, კასუმოვი, რაფაელი, მალსაგოვი, მახარაძე, გალდავა, ბიჩენკო, ბახტაძე, ცინცაძე, ფილიპეა, ლეკვეიშვილი, შობანი, გაგიონი, ჰორტენო, ნაუროძე, ნალბანდოვი, კალანდაძე, მელიქიძე, ველიჩკო, რაბკოვა; ს. ჭუთათელაძე; კაციაძე, აკოფიანი, ბესარიონი და გოლოგაძე.

ცეკას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 17 მაისს დღის 12 საათზე გამოცხადონ კადრების განყოფილებაში ამხ. ბეგოვთან: იოსებ ჩიტაძე, ილია სამსონაძე, თევდორე ძიძიგური, გიორგი სატენიშვილი, ევგენი ნიკეტიანძე, გიორგი ნათიძე, სიმონ სარალიძე, ჩიხრაკაძე, და ლადო დალაქიშვილი.

თბილისის კომიტეტში (თათბირი № 30) **დღეს პირველ საათზე ამხ. მირეულაშვილთან შესხდება თათბირი,** რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სტეფანაშვილი, (კომკავშირის თბილისის კომიტეტი), პროკოფიშვილი (ვან. მუშ. კომშრი), მაილოვი (ვან. განყ.), ჩაჩავა (პროფსაბჭო), ვართანოვი (26-ის რაიონები), ოქუაშვილი (ორჯონიკიძის რაიონი), მახარაძე (შ-33 საქ.-საფ. სკოლა), სიხარულიძე.

„კომუნისტი“-ს რედაქცია ა-წ. 19, 20 და 21 ივნისს აწყობს

დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების რეიდს

ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გამოსაკვლევად.

რეიდებში მონაწილეობის მისაღებად „კომუნისტი“-ს დამკვრელი მუშკორები უნდა გამოცხადდენ 19 და 21 მაისს დილის 9 საათზე, ხოლო 20 მაისს კი დღის 3 ნახ. საათზე „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 16).

„კომუნისტი“-ს დამკვრ. მუშკ. ბრიგადები.

სსრკ. სახ. კომ. მრეწველობის თეატრი

17 მაისი	18 მაისი	20 მაისი
აბონ. გარეშე	10 აბონ. 10 წარ.	2 აბონ. 10 წარ.
მზის დაბნელება საქართველოში	**ჯოი სტრიტ**	**ჰოკპლა ჩვენ ვცოცხლობთ**

დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ნ. 1

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ოქტომბერი ხმოვ. კინო 6-30, 8, 9-30, 11. — ხმოვანი შხატვ. ფილმი **სიცოცხლე** პროგრამის გარეშე სკ. № 7

დამკვრელი ზამთრის 6, 7-30, 9, 10-30 — 2-რე სერია **სამი სიცოცხლე** პრ. გარ.—პაროლი—ნაღოის ჩასხმა.

დამკვრელი საზაფხ. — **მკრთალი მთის ტყვეები** პრ. გარეშე—მეცნ. და ტექნიკა № 8

დარბაზი 6, 7-40, 9-15, 11 — ნატა ვაჩნაძე, იმედაშვილი **ამოკი** პროგრამის გარეშე სკ. № 10

რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8, 9-30, 11 — მხ. ფილ. **მეძნიკელი დიპლომატები** პროგ.. გარ.—სახკინმრეწვის ჟურ. № 4

სპარტაკი კომინტ. ქ. 5 6-30, 8 9-30, 11 — სახკინმრეწ. ნაწ. **სამი სიცოცხლე** პროგრ. გარეშე—მომგებიანი ანაბარი

მეცნიერება ტექნიკა დასაწ. 7-30, 9-30 — უცხოეთის ფილმი **ჩანგ**

ოქტომბერი 12, 1-30, 3 — მხატვრული ფილმი **დათვის ქორწილი**

რ. ლიუქსემბურგის 12, 1-30, 3 — მხატვრული ფილმი **ი უ დ ა** პროგრამის გარ. მეცნ. და ტექნ. № 2

თბილისის იპკ. დროშა

18 მაისს, დღის 1 საათზე **დ ო ღ ი**

სახელგბრივი ჯილდოები „ა-ქ. მიწასკომის“ და „სამი წლის ფაშატების“. 288

ნახეთ და მოისმინეთ

ხმოვანი კინო-თეატრი **ოქტომბერი** სეანსები 7, 8-45, 10-30 წ.

გალინა კრავჩენკო—მსახიობი
პ. სოგომოლევსკი—მეზღვაური
ვ. კარიუშკარი—უცნობი პირი

ახალ ხმოვან სურათში
სიცოცხლე

ავტორი-რეჟისორი **ს. ტიმოშენკო.**
ლენინგრადის ფაბრიკის ნაწარმოები

ნ. 39

თბილისის ა-ქ. რაი დამზღვევ სალარო

ამით აცხადებს, რომ 18 მაისს, 12 საათზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში დანიშნულია

რკინის გზელ პენსიონერების საერთო კრება

დღის წესრიგი: მე-2 ხუთწლედის სესხის ჩატარების შესახებ.

ყველა პენსიონერების